



# მეცტრე



საოველ-კვირა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

6 ოქტომბერს.

გამოცემა

№ 7

კვირამიტი

1885 წელსა.

### ფასი „თეატრ“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოჯანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანვე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარამოს თვეშიაც ერთი (1) მანეთი.

ცალკე რომეა „თეატრ“-სა დიას სამი (3) შაურა. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრუქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

### ხელის მოწერა მაილებს:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრ“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძდ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. შვალაძის წიგნთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакция „Театръ“.

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრ“-ს რედაქციაში უნდა გამოგზავნოს დაუბეჭდელ წერილეს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

### თეატრი და მხატვრობა (აქტიონება)

პეკლი, საშუალო და ახალი დროისა  
(შეძვევა \*).


პანტომიმებმა ძრიელ წახდინეს ესტეტიკური გრძობა რომელებსა; საქმემ იქამდისინ მიღწია, რომ საზოგადოება დიდს სიამოვნებით სპერეცდა თოკზედ მოთამაშე და წყალში მცურავ ტიტველა ქლებს. თვით იმპერატორი ზელიოგალი სრულიად ტიტველა ასრულებდა ქალ-ღმერთი ვენერას როლს. ამ ნაირად მგრძობელობამ და მხეკური ენის გამღვიძებელი სანახაობების სიყვარულმა ძალიან აიწია. ტერტულიანი ამბობს, რომ პანტომიმაში „განრისხებული ჰერკულესი“ სცენაზედ დასწევს ცოცხალი კაც—ბრალეული, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა. „Quae fuerat fabula, poema fuit“ (რაც მოგონილი იყო, სინამდვილეთ გარდაიქცა), ღნჯათ ჰანის მარტალი.

ამ გვარად, ჩვენა ვხედავთ, რომ ბერძენების, შედარებით კარგ თეატრს ძალიან ჩამორჩა უკან რომელების თეატრი და უფრო მით, რომ ის ძალიან აქეზებდა და უღვიძებდა ხალხს უწმაწურს ინსტიკტებს.

ამ გარემოებისათვის არ შეიძლებადა ყური არ მიექციათ ახლად გაჩენილის ქრისტიანული სჯულის მოთავეთ. იმთ მიღეს ღრამატიული წარმოდგენები თავის მფარველობის ქვეშ და გარდაიტანეს ისინი ელესიაში. პანტომიმისა იყო სასულიერო (პოსტერიები); მეთვრამეტე საუკუნემლი პესები იწერებოდა მხოლოდ ახალ-ლათინურ ენაზედ და შექდევ კი გამოჩნდნენ ისეთი პესებიც, რომელნიც იყენენ დაწერილი არეულათ ე. ი. ლათინურ და ნაციონალურ ენაზე. მეცამეტე საუკუნის დამლევამდე არ გამოჩეილა არც ერთი პესა, არა სასულიერო შინაარსათ.

მთელ ამ დროის განმავლობაში პესების დადგმა განსხვავდება სიმარტივით და შედარებით ძველი საბერძნეთის თეატრთან წარმოდგენს უკან დახევას. მრთს მეორამეტე საუკუნის ხელწერილს, სადაც მოქმედ პირობენ ადამი, მეა და სატანი, დართული აქეს საბუთის წერილი, სახელად: „Ordo representationis Ade“ (წესი „ადამის“ წარმოდგენისა). ამ საბუთის წერილში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ სამოთხე უნდა მალლობ აღაგზე იყოს გამოთული და განსაზღვრული აბრეშუმის ფარდებით; სცე-

\*) იხილე „თეატრ“-ს № 5.







ნა—მორთული მსხმოიარე ხეებით და ყვავილებით; ადამი—მორთული წითელ ტუნიკში, მეა—თეთრს ტანისამოსში და იმავე ფერის აბრეშუმის წამოსახსამში. პეტარი ურჩევს ადამს ყურადღება მიექციოს თავს რებლიკებს, ილაპარაკოს არც ძალიან ჩქარა და არც ძალიან ჩუმად (ad respondendum nimis sit re clof haut nimis tardus); დანარჩენ მსახიობთაც რიგიანათ უნდა გლაპარაკნათ და სხვის მოძრაობა შეეთანხმებინათ ლაპარაკისთვის (compositi loquam fur et hestem faciant convenientem rei de que loquantur); მათ არც უნდა მოაკლონ რამე ლექსებს, არც მოუმატონ; სამოთხის ხსენების დროს საჭიროა უჩვენონ იგი ხელით. ეშმაკი, რომელიც ევას აცდენს, უნდა წარმოადგინოს მესხანკურმა გველმა.

მაშინდელი ეპოქის მუზიკა რით მით და ტონით ძრიელ განირჩევიდა ცხლანდელისაგან; იგი ერთხმინაა, თუმცა კი არ აკლავს სიამე.

მისტერიები საყდრიდამ გადავიდნენ მეიდანზედ. მუდმივ თეატრებს ჯერ არ აკეთებდნენ; როგორც საჭიროება მოითხოვდა თეატრს შექრავდნენ ხოლმე, ხოლო მისთვის საჭირო მასალა გადაჰქონდათ ერთგვარი ურმებით. მეცამეტე საუკუნიდამ თეატრი თავს ანებებს მარტო სასულიერო ტენდენციების გატარებას: საფრანგეთში იმ დროს ტრუფერები ხდებიან მამამთავრებად საერო თეატრისა; სასულიერო პიესები კი მაინც არ იკარგებიან; ისინი ყოველ ალაგას არსებობდნენ და მეთსუთმეტე საუკუნეში მიადრინეს უმცლეს სისრულემდის. ტრუფერები აღგენდნენ ურთველს ამა ნაგობას (puy); ეს ამხანაგობა აძლევდა წარმოდგენებს ღიდ-კაცობის და მეფეების მოწვევით. შეეწავა ამხანაგობას ჰყენდა თავისი პოეტი, რომლის თხზულებებსაც ასრულებდა დასი. ტრუფერებს გარდა, რომელნიც არდგენდნენ მდიდარ სახლებში, იყვნენ აკრეთვე პოეტთა ნაწარმოებების ქუჩაში მოთამაშენი. მატერიალურის მხრიდან ტრუფერები ძალიან შევიწროებულნი იყვნენ. მეცამეტე საუკუნეში პიესებს ძალიან მარტივად სდგამდნენ; თუმცა ხანდისხან მოქმედება მათში სწარმოებდა სხვა-და-სხვა ალაგს („Jeu de Robin et de Marion, par Adam de la Halle“: პირველი მოქმედება—სოფელში; მეორე ქალაქში), მაგრამ ეს სრულიად არ აძნელებდა დეკორაციების გამართვას; ზოგი ერთი მწერლები ჰფიქრობენ, რომ დეკორაციებად ზემოდ-მოხსენებულ პიესებში ხმარობდნენ თეჯირს (ширмы), რომლის ერთ მხარეზე დახატული იყო ხე და მეორეზედ—შენობა.

Botée de Goulmon-ი აქებს მელოდიების, სიმღერების და ტონის სინაზეს და სიმშენიერებს seu de Robin et Marion.

შურო საყვარელ ნოტებად იმ დროში ითვლებოდა fa და ut-ი და ეს იყო კიდევ მანუ სიმღერების ერთ-ხმოვანებრსა.

(შემდეგი იქნება).

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

(„ნიკოლოზ ბართაშვილი“, ზ. მთაწმინდელისა, თბილ. 1885 წ.)

წერალა მეორე \*).

ზ. მთაწმინდელი უსაბუთოდ როდა ჰქვილავს ჩვენ მწერლობას. მას „შექლებისადაცკარად“ საკვირვლად შესანიშნავა საბუთი აღმოუჩენია... რატომ არ იცით, როდის გარდაიცვალა პოეტი!! „ჩვენი მწერლების ამხე მკეტი ბედსლობა და უსეირობა სსვა რად იქნება“ (გვ. 24), გაჭკვივის მთაწმინდელი. მაგრამ, თუ ვინმე „ბედსლი და უსეიროა“, რასაკვირველია, ისევე „განმარტებათ“ აკტორი უნდა იეოს, რადგანაც იმან ივისრის მხელი და სსაქადულა შრომა--პოეტის გარდაცვალების უმის „განმარტებას“ ბევრჯელაც მიაწყდ-მოაწყდა ღობე-ეორეს და სსაგმლივის ბოღვის შემდეგ მასსც ასე „განმარტა“ შესანიშნავი ვითსვა: „სასწორათ დღესსაც არ ვიცით როდის გარდაიცვალა პოეტი“ (გვ. 22, 24, 28). „განმარტებაზე“ თითონ თავ-პიან იმ-

ტვრეკს და სსკებს კი „ბედსლობას და უსეირობას“ უკვირებს... როგორ მოგწონთ?! შესანიშნავი მსრით, ღაცს-სესანიშნავი აქ ის არას, რომ ბიოგრაფი ახალს იდეასკედ შეშლილას—გარდაცვალების უამხედ! ესეც სახლი იფაქტი, რომელსაც როდისმე „განმარტავს“ მეცნიერება!... მართლაც და, მწერლების ბედსლობა და უსეირობა იმაში რომ მდგომარეობდეს, რაშიც მთაწმინდელს ჰგონია, მაშინ სომ მთელი კაცობრიობის მწერლობა ბედსლი და უსეირო იქნებოდა—რამდენი შესანიშნავი პოეტი, რომლის გარდაცვალებას წელი, თვე, დღე, საათი, წუთი არ იცის კაცობრიობის მწერლობამ!?!...

მთაწმინდელი თავისს idee jixe როდა სწყრდება. ის სსვა რამესაც უკვირებს ჩვენს მწერლებს: „კმარა ამდენი ცუდლუტობა, ამდენი სადილების გამართვა, საქართველოს ცისე-ეოშეთ, კედლებთა გამო სადღეგმე-

\*) იხილე „თეატრი“ № 6.



ლობის სძ., აქენა დატკობა ათას ნაარ სანკმეუ-  
ბ.თ და განსაკუთრებით შანსსკ, ზორტერ, შარტრე-  
ფებ.თ“ (გვ. 25). საუურადდებოა, რომ მანისკს ში-  
შანსკი, ზორტერი, შარტრეზი „განსაკუთრებითი ს-  
კმელები“ ჰგონია... ვინ იცის, იქნება „რეინ ვენ“  
ბოზართმად მანსია და „სერესი, მარსალა“ კიდევ ა-  
ტლად და ჩინირთმად!... სკვირკული არა არის-რა, ვინც  
გი ცოტად მანც იცის შინხატრია... მაგრამ რა არის  
ცუდი სალიტრატურა ნადიმში? არა თუ ცუდი რამე  
არა არისრა, შირ-იქით ლიტრატურების ნადიმობა ს-  
ჭირობას შეადგენს და ჩვეულებად არის მიღებული ყველ-  
გან, სადაც გი ესმით ლიტრატურული მოღვაწეობის  
მნიშვნელობა. ლიტრატორიც სორციალა არსება, იმა-  
საც საკუთარი დარდი და ვარამი სდევნის, იმსაც უნდა  
თანამომკებთან დროების გატარება, თავისუფალი მუ-  
საიფი, ლხინი, ქეიფი, შრომის შემდეგ დასვენება...  
ეს ბავშვმაც გი იცის და მოაწმინდელს გი ვერ გაუგია...  
ან არა და—რა ცუდღეობაა საქართველოს სადღეობ-  
ძელს სძა? მამ ვისი სადღეობძელს უნდა დალიონ, თუ  
არა ჩვენი წარჩინებული წინამძების? მოაწმინდელის  
სიტყვით, აწინდელი მწერლები სომ „ბედსაღნი და უსე-  
ირონი“ არიან და მათზე არა ითქმის-რა... მაგრამ, იქ-  
ნება მოაწმინდელი გულ-საკლულია, რომ არა სტებება  
ასეთი ტკბილი საჭმელებით, როგორც შანსსკ—  
ზორტერ—შარტრეზია!? ვინ იცის!... ნადიმობას იმა-  
სთვის უარწყობს საქართველოს ასკეტი—ლიტრატო-  
რი, რომ მას არ მოსწონს აწინდელი ლიტრატურული  
მაძროთულება.—„ჩვენ გვინდა გონებითი მოძრაობა და  
არა წასრული იფრეს და კენეს-ტორილი“ (გვ. 27),  
„ქართული უურსალ-გარეთები მარტო იმ შართა საწერე-  
ბისათვის არის, ვინც ჰსწონს და მიძროთულებას ახლა-  
ბუდესავე სცვლიან და ყოველივე ძველს აღმერთებენ“  
(იქვე). ამ „გონებითი მოძრაობას“ წინამძებელი მოჭ-  
ყობს და გაწმინდელი მკითხვისათვის გვიჭადაგებს—  
ესა და ეს ხატი ილოცეთ, ამას ვურატო მიჭკარეთ და  
იმას გი არა... ნურც ჰუშენს აიღებთ სელში და ნურც  
შექსპირსა, ივითსეთ მსოფლიდ შინარკვი, მარკისი  
„კაპიტალი“, ლუი ბლანია (მასუშტი ვის ევადრება!),  
კირაევკის ნუ ჰბძავთ, ჰოე უგურსონო! ყურები გაი-  
ბერტყეთ,—„დრო შეიცვალა, სსკსე იფიქრეთ ესლა“  
(გვ. 25—26). რასაკვირვებია, ბატ. მოაწმინდელს თ-  
ვის თავი „ასალგანდა“ მოღვაწედ წარმოუდგენია, ას-  
ლის ბანაკის და დროშის გმირად და მეტად სწიხის,  
რომ ჩვენი მწერლობა „ისეთი შირების ხელშია ჩავრ-  
დვილი, რასიგამო იგი თავის დღეში წიხ ვერ წაიწკის“  
(გვ. 27). მაგრამ ვინ უშლის ამ გმირს (რასაკვირვებია  
თუ გი დონეც ქკს), ჩვენი მწერლობა „სელში ჩაიგდოს“,  
„წინ წასწიოს“ იგი და სრულიად საქართველოს „გა-

ნუმბრტოს“ შინარკვიც, ლუიბლანიც და მარკისი...  
ტალიც“? (მეტადრე ეს უგანსიგული, რადგანც ურ-  
შიულ მსწავლულებსაც გი ეძნელებათ „განსამარტობლად“!).  
ვინ უშლის, რომ აიღოს დროშა და წიხ გაუბღკს  
„გონებითი მოძრაობას“? ზ. მოაწმინდელი ესარჩლება  
ვიღაც „ასალგანდას“, რომელნიც შინარკვის კითხე-  
ლობენ და „ქართულს ძველს წიხებს“ გი არა. თუ ეს  
მართლია, მამ დიდება და შატვი „ასალ-განდას“—  
საურსოვო ვიქილი და მოძღვარი უშოკნათ!... მამ წინ  
რალა დაუდგება „გონებითი მოძრაობას“!

საკვირკული ის არის (მაგრამ რა არის საკვირკული!),  
რომ გონებით ნორჩს და გაჭაბუკებულს მოაწმინდელს  
უბრალე, მარტივი ახრიც ვერ შეუგნია: იმას ჰგონია,  
რომ ძველი მწერლობის და ცსოვების შესწავლა გო-  
ნების დახველებას შეადგენს და ასლისა-გონებითი მო-  
ძრაობას!... იმას რადი ესმის სახანსო ჰეშმარტება,  
რომ ყოველივე ასლა ძველის შედგენა და ვინც ნამდვი-  
ლი მოძრაობა „გონებითი მოძრაობისა“, იმას საფიქვლი-  
ანად უნდა შესწავლოს თავისი ხალხის ძველი მწერ-  
ლობა და ისტორია. ზ. მოაწმინდელის ბოღვა რომ  
მართალი იყოს, მამინ სომ უნდა უარყოთ მოლად ის-  
ტორიული მეცნიერება, რადგანც ამ მეცნიერების დედ-  
ბომს, სსკათა შორის, წარსულის შესწავლა შეადგენს,  
წარსული ცსოვების კანონების გამოკვლევა... ზ. მო-  
წმინდელი სულ ამას გვიკაყინებს—ძველს დროს დას-  
ტორითო, წარსულს აღმერთებთო. კარგი და შატვი-  
სანი, მაგრამ ეს საყვედური ითქმის ორიოდე შირზედ  
და არა მოლად ჩვენს მწერლობასეც; მეორედ—ამ გო-  
დებს, „გაღმერთებს“ თავისი შესწავლარებული მანკი  
სქეს და თუ ბოგრაფია აღნიშნა სსკებული უგადურესი  
მაძროთულება, მამინ იმის დასარღვევლად სსკა ორადი  
უნდა ესმარა და არა ის, რომელიც იმსარა—ცალიერის  
სიტყვებით წარსულის ცსოვების უარყოფა, მისა ს-  
სელის აღმოფხვრა—ეს უარყოფობა სომ ისეთივე უგადუ-  
რესობაა როგორც უგადურესობა „გაღმერთება“. ესეც  
ვერ შეუგნა ჩვენი წარსული ცსოვების მკილას. მაგრამ რა  
ადგილი უნდა ჰქონდეს ყოველივე ამას ნ. ბარათაშვილის  
ბოგრაფიაში?—საქმე იმაშია, მკითხველო, რომ მო-  
წმინდელს გული ეწვის აწინდელს ლიტრატურულ მი-  
ძროთულებასეც, ჰსურს „გაბრევიებული ასალ-განდას“  
ნამდვილ გსახე დაყენოს, „განუმარტოს“ მათ თავისი  
„ასალი ახრები“, მაგრამ ყველა რედაქციის გარი და-  
კეტილი ყოფილა მისთვის... „მაგრამ რა ვუყოთ, სსკა  
სამუელება რომ არა გვჭკს-რალ (გვ. 27),—ასე „განამარ-  
ტებს“ მოაწმინდელი!...  
შემდეგ ზ. მოაწმინდელი ისე უბრუნდება შოეტს  
და მის შოემას („ბედი ქართლისა“) ასე „განამარტობს“:  
„ბარათაშვილის ჰსწრი ოცნებათ მიგვიჩია... მან გან-





ძნის დასწერა ეს და ამით ძოვალა მსოფლიო გულის წუ-  
ხალი“ (გვ. 38), „თორემ, როგორც ერთი ისტორია  
გარდმოგვცემს (თუ რომელია—შეითხავს აკითხვინეთ!),  
მეფე ერეკლეში საიმირო ანა ყოფილარა, რითაც ბარა-  
თ-შავლი გვიხატავს მას“ (გვ. 34). რატომ?—საზო-  
გადოდ იმიტომ, რომ „ჩვენის ისტორიის გარდმოცე-  
მათ, მთელს ჩვენს ბუნებას, უმცირებით და უსინდის-  
ობით სხვს მამულს გმირებში ერთ გაცხად ვერ ვსე-  
დავთ, რომ ღარსა იყოს ეურადღებისა“ (გვ. 33). გერ-  
მოდ, ეურადღების ღარსა არ არის ერეკლეც, რადგანაც:  
1) „მამულს სიუკრულისა ანა იცოდა-რს“, „სამეფო შე-  
სავლს მსოფლიო იგი და მალა წოდება სჭამდნენ,  
გლესები, მშავრები, შაშველნი, ტიტველნი, მოხუცნი,  
ობოლნი, ქვრივნი და სხვანი ქუჩაში ძაღლებივით იულიტე-  
ბოდნენ“ (გვ. 36), 2) „არც გამჭრახსე იყო, არც პო-  
ლიტიკურს საქმეებში განვითარებულა; სირცხვილია იმა-  
სთვის, რომ ორმოც და ოთხ ომების შეკრებით ნა-  
სევარ ქართველთაზე მეტი გასწვიტა უმისროთ“ (გვ.  
34), 3) „უმცირებით და წარსულის მუხანათობით სხ-  
ვე ერეკლე სხვა თავადიშავლებს მამულებს ართმევდა და  
თავის გვარის შვილებს ამლეკდა“ (გვ. 35), 4) „მელეკ-  
სე ბესივი კინადამ ავლბრის სიდიდამ გადაცდებისა და  
მოაკვლევინა ერთი რაღაც არაიუული ლექსის დაწერი-  
სათვის“ (გვ. 37), 5) „ნებიერად ტახტზე მწოდმა არ  
იხრუნა თავის ტომის ხალხთა შეერთებისათვის“ (გვ.  
35). ამ მიზეზების გამო, „ისტორიაში სულაც უნდა  
ამოხიროდეს ერეკლეს სასწენებელი“, „მომავლად გვიკის  
და დაღწის მას (გვ. 37, 38), „იმის მეფობა იყო  
საქართველოს უბედურების მიზეზი“ (გვ. 35), „იმის  
მოქმედებამ დაძმობა საქართველო“ (გვ. 36) და სს. და სს..  
მკითხველი, რასაკვირველია, მოითხოვს, რომ ზ. მთა-  
წმინდელმა დამტკიცოს თავისი ისტორიული „განმარ-“

ტებანი“, რამე სახუთი მოუძებნოს მისთვის და  
ახტებს“, მაგრამ ავტორს ეს საჭიროდ არ მოეჩვენა.  
ისტორიული ცნობების მოყვანაზე შეიძლება, რომ ზო-  
გიერთებმა ცნობების დამტკიცება ითხოვონ, მაგრამ რა  
საჭიროა ესენი“ (გვ. 38). სწორე, რაც ზირსე მო-  
გადგეს, რაც სხუელმა ჭკუამ გაცოხონ—დამტკიცება რა  
საჭიროა!?. როგორ მოგწონთ ეს თქვენ. „საზღვარდე-  
ბო“? აი ის მოძღვარი, რომელიც თქვენ გიქადაგებთ,  
რომ ძველ ქართულ წიგნებს ნუ აკითხავთ, ისინი  
გროშადც არა ღირს!....

ზ. მთაწმინდელს თითონვე უგრძობია თავისი ქმნი-  
ლების ბედ-იბაღი: „მე ვიცი, რომ ამ სტატის ბევრ-  
ნი დაუწყებენ კიდეც და კიცხვასა“ (გვ. 40), შინაარ-  
სა და ცნობები რომ არ დაიწუნონ, ქართულ ენას მანც  
დაიწუნებენ, მაგრამ არც სხვებმა იცინა ქართული ენა  
(იქვე). შენი არ ვიცი, მკითხველო, მაგრამ მე ვი  
სი-  
ცილთან გულზე ვხვრიც მამდიოდა, რაცა თვალს ვა-  
დეკნებდი ამ „შინაარს და ცნობებს“... სასაცილოც არის  
და სჯავრელიც, რაცა ზ. მთაწმინდელი და მისი მსგა-  
ვსები გამოსულან სალიტერატურა ასპირანტად და თა-  
მამდ სჯიან ჩვენი მწერლობის მამართლებსე. წარსულ  
ისტორიულს ცხოვრებაზე და სს... ეს რა ამთი სე-  
ლობა!?. ზ. მთაწმინდელი რომ თავის ქერქში დადგეს,  
ენურია, და მეცადინეობა, რომელიც მას სავმოდ მო-  
ეპოვება, ხელს შეუწყობდა სასარგებლო შრომისათვის,  
მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ის თავის ქერქში  
არდგება და მოძღვრებას ჩემულობს... ასლა ზ. მთა-  
წმინდელმა თავის გულში თითონვე „განმარტოს“—მარ-  
თაღს ვეუბნებით, თუ არა და თუ მართლს ვეუბნებით,  
„განმარტებებს“ თავი დაანებოს... ვარწმუნებთ, ვარც  
არის.

ნ. უბნელი.

### ფელტონი

„ლევან იანიჩარი“ \*).

### III

აღმოსდა მთვარე გაბრწყინებულა,  
და გაიბადრა ვარსკვლავოსანი  
და ღელის ზირსე ჩამინებულა  
შეკრთა ბუღბუღა, ღამის მგოსანი.  
ცელქად მომბეჭმა გრილმა ნიაჟმა  
შესძრა სის ტოტი თავ-ქვე ჩაჩრილი,

მიღია დაეფთხო მსხედ იადონს  
და გულ-ამოსკვნით მოართო მასალი;  
მასი მსმენელი სვამლის მთის წვერი,  
ტბილის ოცნებით გატაცებულა,  
იღვა თავ-ჩასრით, ვით ბევრა სეკდას  
გადამტახელი მოხუცებულა.  
იქ ღამის ცვარებს, ველზე მოფენილს,  
მთის უკვავლები თავ-თავს უსრიდას

\*) პოეზიადამ.






ეროვნული  
ბიბლიოთეკა

და სიო წყნარი, მაგრილობელი  
 მიმოსტურავდა, ნაზად უჭრიადა.  
 იქ გზადრული ველური ვარდი  
 ველურ მცენარეს გარდასკვავდა,  
 მათ მნათობების ფერ-მკრთალი სხივი  
 მოსადსენელად, მოტრიალედ სწვევდა.  
 იქ ბუნებებ შუა მ.შსაზუნებდა  
 იმ ძალადი მთის წყარო ანკარა

და წყაროსაკენ ყელ-მოღერებით  
 მარდი ირემი მიესწრაფოდა,  
 და ფოთოლთ ყოველ მცირე შრიალსედ  
 შეხედებოდა, ფრთხილად, ჭკრთოდა.  
 დრო გადმოშვებით ფრთხილად შექქნიდა  
 აწვივნი კლდეზედ მაძინებულნი  
 და სის ტოტებზედ ათრთოლდებოდა  
 ფრინველები მათგან შესინებულნი.



და წყაროსაკენ ყელ-მოღერებით მარდი ირემი მიესწრაფოდა.

და სის ფოთლები, თავ-ჭკვ დასრიალი,  
 იმას ჭკოცნიდა მკერდზე წყნარ-წყნარა.  
 იქ მწიწანს მშველის ნუკრები  
 ბორცვიდამ ბორცვზედ სტოდეზ, როკავდენ  
 და მოყვარულად მათი მშობლები  
 ერთი-ერთმანეთს ყელს უღოკავდენ.—  
 მათ შორი-ასლას კურდღლის ბაჭა  
 მდელოსა სძოვდა, ხორხად მიიფენიდა,  
 და ძილს უფოსობდენ ღამის ფრინველნი  
 მას უშემწევოს და რბლად შიენიდა;

და ბუ თავისის ნადვლიანი სმით  
 ხან და ხან სეზედ იწუებდა კივილს,  
 და მიმტუნდა ირგვლივ მიდამოს  
 ჭმუნვარე ფიჭვებს და გულის ტვივილს.  
 ხან, მარტოდ მეოფე მუკელი მშაირა  
 სერადა მკვანსრად დაიღმუკლებდა  
 და მისი მოთქმა გლოკ-ხარიალი  
 სულის აშოთებდა, გულის აწულულებდა.  
 და ხან კი მუსა ათას წლოკ-სი,  
 ვით მთა ძალადი, გარდიჭკევდა;





მის სმას ცა მადლით სმას გადმოსცემდა,  
 ძველ დედა-მიწა შეირყეოდა,  
 კლდის ნაპრალებში მიძინებულნი  
 გუნდნი აწივთა აშოთოდებოდენ,  
 მსვენნი შიშისგან ზარ დაცემულნი  
 ღმუკაღით ტყე-ველს მოედებოდენ,

და შემდეგ ისევ ამ სმით ამოვიდა,  
 ცა და ქვეყანა დამშვიდდებოდა,  
 და ხვეულებრივ სიმშვიდ-სიწყნარე  
 ამ კვანთ მთაში დამყარდებოდა.

ცხელი.

### მურა დაითხოვას!

#### თავი III

მენახირე გოგიას სახლობის და მურიას ამბავი.

დოთმა წელიწადმა განვლო გოგიას  
 გადარჩენის შემდეგ.

საფსულის მთვარიანი ღამეა. სოფელი  
 მცხეთის განაპირას, მტკვრის მხარეს, სწორედ  
 ბაგნითის მთის პირდაპირ, რომლის მიღშიაც  
 გადის რკინის გზა და გზა-ტყეცელი, ერთი  
 მიწური სახლის წინ — კალოსე სამხრობს  
 მენახირე გოგიას სახლობა. მას შეადგენენ:  
 მისი მეორე ცოლი, პირველი ცოლისაგან  
 ნაყოფი შვილი-გიგუბა და თვით გოგია. ცო-  
 ტა დაშორებით წევს ბებერი და დიდი მალ-  
 ლი, რომელსაც დედი-ნაცვლის უხუმრად აწვდიდა  
 სოფლმე ჰურის ლუკმებს ცხრა წლის გი-  
 გუბა. ეს ძაღლი არის მურია, ისევ ის მუ-  
 რია, რომელმაც ათი წლის წინად გადა-  
 არჩინა სიკვდილს გოგია, მაგრამ ესლა მას  
 ნაქმე ისე გაჭხდომია, რომ, თუ სახლის-  
 სან ქურდულად არ აჭმევდეს მისი ჰატარა  
 ძეგობარი, თვითონაც ნახევარსედ მშიერი გი-  
 გუბა, მას აქამდის სული ამოსძვრებოდა.

ეს ასე იყო, მაგრამ მურიას თვალებში მანც  
 ყოველთვის ისევ ერთ-გულუბა გამოჩნდა.  
 ის მხად იყო ყოველს წამს თვისი უკანასკ-  
 ნული დონე მოყმარებინა თავისი ჰატრო-  
 სის კეთილ-დღეობისთვის.


ყველანი სამხრობდნენ, მაგრამ ისე,  
 თითქოს ხორბვი მოპარულიყო. ყველას ეტ-

ეობოდა, რომ გული გულის ალაგას არა  
 ჭქონდა. ნაღვლიანობა ეწერა სახესედ გო-  
 გიას და გიგუბას; გოგიას მეორე ცოლს  
 ძარიძის — ძრისსახება.

აქ საჭიროა თვალი გადავავლოთ გოგიას  
 ცხოვრებას. ამ ათი წლის განმავლობაში სწორედ  
 სამი თვის შემდეგ, რაც ის უბედურს შემთხვევას  
 გადაჩნა, იმან შეირთო ცოლი, რადგანაც იმ  
 შემთხვევამ ის თავისებურად მიასუვედრა სი-  
 ცოცხლის მნიშვნელობას. მისი პირველი ცო-  
 ლი იყო ღამაში ასალგაზრდა შავკვრემანი  
 ქალი. ამ ქალმა ცხრა თვის შემდეგ უმო-  
 ბა გოგიას ვაჟი და თვით კი სუსტი აკე-  
 ბულობისა გამო მშობიარების დროსვე გარ-  
 დაიცვალა.

ვაჟი ცოცხალი დარჩა. ის გამოხარ-  
 და ერთმა მესობელმა დედაკაცმა; როცა ის  
 სამი წლისა იყო ყველას აკვირვებდა თა-  
 ვის სიღამაშით და ჭკუით. ის ცოცხალი  
 სურათი იყო თავის უბედური დედისა: მშვე-  
 ნიერი შავი თმა, გამომეტყველი თვალები,  
 ვიწრო ნიკანი, დიდი წამწამები, ცოტათი  
 მაღლა ასწეილი ცხვირი და მუდამ ცო-  
 ტათი ღია ტუჩები, რომლებს შუაც გამოჩ-  
 ნანდა ბროლივით თეთრი კბილები, ამშვენებ-  
 დენ მის მრგვალს თავს, რომელსაც, რაღა-  
 ცა განგებით, მოუფლელობის მიუხედავად,





ისეთი სუფთა კანი ჰქონდა გადაკრული, რომელსაც ბევრი მდიდარი დედა ინატრებდა თავის შვილისათვის. ამისთანა მშვენიერს ბავშვს მოვლა და უურის მკვებელი უნდოდა.

გოგამ შეირთო მეორე ცოლი. ეს ცოლი არა ფერში არ შეედრებოდა ჰირველს. მუდამ ავათ-მყოფი ისეთის სწეულებით, რომლის დროსაც უფრო ჰსწუსს სული, ვიდრე სორცი, ეს დედაკაცი შეძევში ისე განაწმლდა და ისეთი არაკული დედინაცვალი გამოადგა საწყალს გიგუას, რომელნიც მთელ სასლობას ჯოჯახეთის სატანჯველით სტანჯავენ სოლმე. ეს დაბალი ტანის დედა-კაცი მეტად ავი სულისა იყო და იმის ავსულობას ის შედეგი ჰქონდა, რომ გოგია უღროფოთ ბერდებოდა და იკაკვებოდა წელში და გიგუა კი, ეს ცხრა წლის ემაწვილი, ისე გონება განსნილი იყო, როგორც თვრამეტის წლისა. გოგია ითმენდა ყველაფერს იმიტომ, რომ ეშინოდა თავისი ცოლისა; გიგუა ითმენდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ითმენდა იმისა მამა და მეტე იმიტომ, რომ არ უნდოდა გაეჯახებინა თავისი დედინაცვალი, რომელიც ყოველ დანაშაულსედა ერთათა სჯიდა და როგორც გიგუას, ისე მის ბებერ მეგობარს მურიას. თავისი თავის დასჯა არა ფრად მიანდა გიგუას, მაგრამ მურიას დასჯა მას ცრემლის ზღვას გადმოადგენდა სოლმე. ამით სარკებლობდა მისი დედინაცვალი და გიგუას მტრობასთან მან ჩაიტანა გულში მურიას მტრობაც.

მარიამმა იცოდა სულგრძელობა გიგუასი; იცოდა ისიც რომ გიგუას იგი სძულდა,

რომ ის ძალე გაისდებოდა და მოხსნობდა მას ანგარიშს ყველა წვალებისას და ამიტომ დიდი ხანი ჰქონდა გადაწვეტილი, რომ რადგანაც იცოდა როგორც სვეითა ვსთქვით, როგორი თავგადადებითაც უყვარდა მას მურიას, ეს თავისი მამის გადამჩენელი, და მისმა კველურმა გულმა გადასჭრა, რომ ყველანგა დიდ თავ-ხარს მურიას დაკარგვა დასცემდა მას.

ჩვენ იმ დამეს ვხედავთ ამათ კალოსედა, როდესაც მარიამმა მიჰყო სელი ამ ახრის სისრულეში მოყვანას....

ისინი, როგორც სვეითა ვსთქვით კალოსე სამსრობდენ, თუ შეიძლება დავარქვათ სამსრობა ცარიელს ჰურის ნატყებს. ამდროს უეცრად მარიამმა შეასწრო თვალი, რომ გიგუამ ჰურის ლუკმა გადაუგლო მურიას, და იმისმა მოქნეულმა მარჯვენა ხელმა ტლამანი გაიღო გიგუას ლოყასედა.

— არა შე სამიწვე, შენა! შენ ბევრი გაქვს, რომ ძაღლსაც აჭმევ? მიაძახა მარიამმა და შინისაკენ ჩუმად მიმავალს გიგუას ისეთის ღონით სტყორცნა გორასი სურგში, რომ ათას ნაირად დაიმსხვრა.

— „მამ რა ქნას, დედა-კაცო!“ ნაღვლიანის გულით წარმოსთქვა გულ-დამწვარმა მამამ, „თუ ძაღლი გვინდა, კიდევ უნდა ვაჭამოთ; მასუკან“....

— მასუკან შენი მსხნელიც არის,— გა-მოჯახურებით განწვეუტინა სიტყვა მარიამმა.

— ჰო და, რა არის! ეგ რომ არა ეოფილიყო, ჩემი ხსენებაც არ იქნებოდა...

„მერე რაო? მე მაგისი არა ვიცირო.“

o. რევიშვილი.





# სხვა და სხვა ამბები

◆◆ დღეს ჩვენი დრამატული დასი იწყებს წარმოდგენების გამართვას. წარმოდგენ ოთხ მოქმედებიან კომედიას „ენლანდელ სიევარდს“ გადმოკეთებული ვ. აბაშიძისაგან და ერთ მოქმედებიან ვოდევილს „დაჯრიალდა ჯარა“.

◆◆ ჩვენ მივიღეთ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან შედგენილი ყრმათათვის საკითხავი წიგნი, ბუნების კარი. ეს მესმითე შევსებული გამოცემა შეცვლილი და შემკულია სურათებით და საქართველოს კარტით. წიგნი სუფთად და შიშინად დაბეჭდილია და თუ მხედველობაში ვიქონიებთ მისს სივრცესა და ღირსებას, ფასი ძალიან იაფია; წიგნი თხუთმეტი შური ღირს. „ბუნების კარი“ მოწონებულია და ქართული ენის სახელმძღვანელოდ დადებულია მსწავლეულთა კომიტეტისაგან, განათლების მინისტრის დამტკიცებით.

◆◆ შორაპნის მაზრის მარშალი უგანათლებულესი თ. ბ. ალექსანდრე ბაგრატიონი ამ ხანებში მოგზაურობს შორაპნის მაზრაში, ყველგან ჰკრებს თავდაზნაურობას და აგონებს მათ შორაპნის მაზრაში სკოლის დასაარსებლად ფულების შეკრებას. თავდაზნაურობა, როგორც ამბობენ სიხარულით მგებება თავის მარშლის წინადადებას და იმედი არის, ტყვილა არ ჩაივლის მარშლის საქები მოთაურობა ამ საქმის შესახებ. („მწყემსი“ № 16).

◆◆ დაბა ყვირილაში ეწლა ბლომათ ვხედავთ აჭარლებს და ქობულეთლებს, რომელთაც აქ მოჰყავთ ხარები და ცხენები გასასყიდლათ. როდესაც მათ გაიგეს, რომ აქ ცხოვრობენ მათი მოგვარეები ძლიერ გაეხარდათ. ძლიერ სასიამოვნო არის ამ აჭარლების ხშირი მისვლა-მოსვლა ჩვენ ხალხში. ამი-

სთანა მოგზაურობა მათ ისე დაანლოვეს მათ მოქმედებებთან, რომ ისინი ადვილად მიუზრუნდებიან მათა-მანკურ სარგებლობას. („მწყემსი“ № 16).

◆◆ გამოვიდა და ისეიდება ბროშიურა „მეხის ამბავი“. უივაცოვსვიდამ ნათარგმნია გიგო შარაშიძისაგან და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან. წიგნი სუთი სურათთა ჩაბეჭდილი ღირს სამ-შაურად.

## ქმრძო ბანცხადება

ბ. რედაქტორო, ნება მიბოძეთ, თქვენი პატივცემულის გახეთის საშუალებით ერთი კითხვა მივსცე „დროების“ რედაქტორს და გამომცემელს, კითხვა, რომელიც დაიბადა მოსპობილის „დროების“ ყველა ხელის მომწერლის თავში. საჭირველი ის არის, რომ აქ მდისინ მისი გამომცემელი არა ფიქრობს ხელის მომწერელთ დაკმაყოფილებაზედ ფულით, ან სხვა რომელიმე გამოცემით. რუსეთში მრავალ «ქურნალ-გახეტები ჩხურება რაიმე მიზეზის გამო, მაგრამ მათ „რედაქტორ-გამომცემელნი პირველადვე თავიანთ ხელისმომწერელთ დაკმაყოფილებაზედ ზრუნავენ ხოლმე, ჩვენში კი ყური მოიყრუეს. მართალია, ოთხი თვის ხეცღრი ფული დიდი რამ არ არის, მაგრამ კერძო პირების ჯიბეში დაჩენას, შეიძლება ჩვენ უფრო რაიმე კეთილ საქმეს მოვხმაროთ.

„დროების“ ერთი ხელის მომწერელთაგანი.

რედაქტორთა და გამომცემელი გ. აბაშიძე.

## ქართული თეატრი

დღეს, კვირას, 6 ოქტომბერს,

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

## ენლანდელი სიევარული

სცენები ყოველ-დღიურ ცხოვრებიდამ 4 მოქმედ. ვალ. ვ. აბაშიძისაგან.

II

## დაჯრიალდა ჯარა

ვოდევილი 1 მოქმედ. ვადმოკ. პ. ვიფანასაგან. დასაწყისი 8 საათზე.

ამა 1885 წელს უფნაღს **„ივერია“** რიაზედს სელის მოწყნა მიიღეს მსოფლად მოქლის წლით. ფსი მოქლის წლისა შგადი (7) მანათი. სელის მოწყნა მიიღეს „ივერიის“ რედაქციასა, მისილოკის ქუჩაზედ, გ. ქართველიშვილის სასლებში, (მისაჯალი ეზოდამ). გატყე მცხოვრებთათვას ადრესი: Въ Тифлисъ, Въ редакцію журнала „Иверія“.

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღასიაში ისეიდება

## ლექსნი

თქმულნი ბესარიონ (ბესიკის) გაბაშვილისაგან. ფასი 30 კაპ.